ონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის ანგარიში
გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-6 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ ინფორმაციას ონის მუნიციპალიტეტის მერიის და შემდგომ მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ- თუ რა სამუშაოები გავწიეთ და რა სახის პროექტები განვახორციელეთ წლის განმავლობაში, ასევე, თუ რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და რა ხედვები გვაქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით.

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოხდა ცვლილება საქართველოს ორგანულ კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში'', რომლის თანახმადაც აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც წარმოადგენდა გამგებელი, შეტანილი ცვლილების თანახმად უკვე გვევლინება მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, მისი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე მოიცავდა სავალდებულო შემდეგ საკითხებს:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- განათლების ხელშეწყობა;
- კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის უზრუნველყოფა;
- სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობა;

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულ პერიოდში განახორციელა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები და პროექტები.

მერიის მიზანი იყო ქალაქის განვითარების პარალელურად, ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მიკრო გარემოსა და სერვისების შექმნა.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას:

2017 წლის წლიური მონაცემებით**O**ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 8 557,6 ათ.ლარი, ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 377,5 ათ.ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის წლიურმა გეგმამ შეადგინა 10 935,1 ათ.ლარი.

შემოსულობები: 2017 წლის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 8 557,6 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 8 662,1 ათ.ლარი (101%); - აქედან საშემოსავლო გადასახადის გეგმა 100,0 ათ.ლარი - ფაქტი 22,3 ათ.ლარი (22%); ქონების გადასახადის გეგმა 200,0 ათ.ლარი - ფაქტი 233,2 ათ.ლარი (116%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 8 037,6 ათ.ლარი - ფაქტი 7 960,5 ათ.ლარი (99%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 40,0 ათ.ლარი - ფაქტი 51,4 ათ.ლარი (128%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 140,0 ათ.ლარი - ფაქტი 56,6 ათ.ლარი (40%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 2,6 ათ.ლარი; სანებართვო მოსაკრებელი შემოვიდა 7,9 ათ.ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 10,0

ათ.ლარი - ფაქტი 8,0 ათ.ლარი(80%); ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 30,0 ათ.ლარი - ფაქტი 21,5 ათ.ლარი(72%); შერეული და სხვა

არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან შემოვიდა 224,0 ათ.ლარი, ასევე შემოვიდა არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზებიდან) 34,2 ათ.ლარი.

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 10 935,1 ათ.ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 8 803,4 ათ.ლარი (80%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 1 427,7 ათ.ლარი - ფაქტი 1 354,6 ათ.ლარი (95%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 387,2 ათ.ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 365,8 ათ.ლარი (94%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 022,2 ათ.ლარი - ფაქტი 984,4 ათ.ლარი (96%); ასოცირებული საწერვო გადასახადის გეგმა 4,3 ათ.ლარი - ფაქტი 4,3 ათ.ლარი (100%); სარეზერვო ფონდის გეგმა 14,0 ათ.ლარი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 53,9 ათ.ლარი - ფაქტი 52,3 ათ.ლარი (97%);

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 8 607,2 ათ.ლარი - ფაქტი 6 579,0 ათ.ლარი (76%); აქედან:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯების გეგმა 3 228,0 ათ.ლარი - ფაქტი 2 538,1 ათ.ლარი (79%);

- გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 168,7 ათ.ლარი - ფაქტი 162,9 ათ.ლარი (96%);

- დასუფთავების ღონისძიებების ხარჯის გეგმა 194,5 ათ.ლარი - ფაქტი 191,1 ათ.ლარი (98%);

- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა და რეაბილიტაციის ხარჯის გეგმა 2 542,6 ათ.ლარი - ფაქტი 1 751,4 ათ.ლარი (69%);

- წყლის სისტემის რეაბილიტაციის ხარჯის გეგმა 398,8 ათ.ლარი - ფაქტი 271,2 ათ.ლარი (68%);

- კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯის გეგმა 2 002,7 ათ.ლარი - ფაქტი 1 596,1 ათ.ლარი (80%);

- სოფლის მხარდაჭერის პროფრამის ხარჯის გეგმა 56,3 ათ.ლარი - ფაქტი 53,1 ათ.ლარი (94%);

- ა(ა)იპ გამწვანების სამსახურის ხარჯების გეგმა 15,6 ათ.ლარი - ფაქტი 15,3 ათ.ლარი (98%);

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 160,0 ათ.ლარი - ფაქტი 160,0 ათ.ლარი (100%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 517,5 ათ.ლარი - ფაქტი 514,5 ათ.ლარი (99%);

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 168,8 ათ.ლარი - ფაქტი 143,0 ათ.ლარი (85%), აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვა გეგმა 46,1 ათ.ლარი - ფაქტი 30,1 ათ.ლარი (65%), სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 122,7 ათ.ლარი - ფაქტი 112,9 ათ.ლარი (92%).

2017 წელს ონის მუნიციპალიტეტის მერიის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებამ შეასრულა დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაოები, კერძოდ: 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა შესყიდვების გეგმის პროექტი (2016 წელს) და დამტკიცების შემდგომ დარეგისტრირდა სისტემაში, ბიუჯეტის ცვლილების დროს კანომდებლობით გათვალისწინებულ ვადაში ხდებოდა მისი კორექტირება და კორექტირებული გეგმა ასევე ისახებოდა სისტემაში, მომზადდა ელეტრონული და

გამარტივებული წესით გათვალისწინებული შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულების პროექტები, კონტროლდებოდა და დღეის მდგომარეობითაც კონტროლდება (იგულისხმება მრავალწლიანი შესყიდვა) ამ ხელშეკრულებების მიმდინარეობა, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაციები და სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები (რომელიც რეგისტრირებულია სისტემაში), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წესრიგდებოდა გამარტივებულ შესყიდვებთან და კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა, სააგენტოს მიეწოდა პრეტენდენტების შავ და თეთრ სიაში რეგიტრაციის წესებით გათვალისწინებული ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით სააგენტოსთვის ასევე წარდგენილია კანომდებლობით გათვალისწინებული ანგარიშები.

შესყიდვების პროცედურები:

2017 წელს განახორციელა 109 ელექტრონული შესყიდვის პროცედურა, მათ შორის: 86 ელექტრონული ტენდერი, 16 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 2 კონკურსი. გამოცხადებულთაგან არ შედგა 8 ელექტრონული ტენდერი, 4 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 1 კონკურსი; უარყოფითი შედეგით დასრულდა 1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 6 ელექტრონული ტენდერი; შეწყდა 1 ელექტრონული ტენდერი, 4 ელექტრონული ტენდერი და 1 კონკურსი; ხოლო 83-ზე კი დაიდო ხელშეკრულება.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებულია 57 ხელშეკრულება, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში კი - 6 ხელშეკრულება.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2017 წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალიტეტის მერიისათვის ისევ პრიორიტეტად დარჩა. თითოეული პროგრამა და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტი მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია:

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი გზების რეაბილიტაცია:

1. კვაშხიეთი-შქმერის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობით. პროექტი მრავაწლიანია, განხორციელდა სამუშაოების II ეტაპი, ღირებულებით-312 480 ლარი;
2. ბარი-მრავალძლის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობით. პროექტი მრავალწლიანია, განხორციელდა სამუშაოები I ეტაპი, ღირებულებით - 604 200ლარი;
3. სოფელ პიპილეთის ხიდიდან სორგითის გავლით ღუნდამდე მისასვლელი გრუნტის გზის რეაბილიტაცია და ახალი ბოგირის მოწყობა, ღირებულებით -17 930ლარი;
4. სოფელ ლაჩთაში უსაფრთხოების ფოლადის ბოგირის მონტაჟის და სოფელ წოლაში მისასვლელი და შიდა გრუნტის გზების რეაბილიტაცია, ღირებულებით - 14423 ლარი;
5. სოფელ გომში მისასვლელი და სოფელ უწერაში მდ. მუშუანის მარჯვენა სანაპიროსთან საუბნო გრუნტის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 16709 ლარი;
6. სოფელ ბარში ციხისლების უბნის გრუნტის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 3568ლარი;
7. სოფელ ღარის გრუნტის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 22717 ლარი;
8. სოფელ ნაკიეთში შიდა გრუნტის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 9688 ლარი;
9. სოფელ ხურუთში გზის დამცავი გაბიონის კედლის და სოფელ პიპილეთში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 6437 ლარი;
10. სოფელ შარდომეთში მისასვლელი გზის მეწყრისგან დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 208941 ლარი;

11. სოფელ ცხმორში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 41180 ლარი;

ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია:

1. განხორციელდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გონაში მდ. ჩვეშურსა და ხვარგულზე ორი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, ღირებულებით - 549171ლარი;
2. განხორციელდა სოფელ უწერაში გვერითისა და წმინდა გიორგის სალოცავზე გადასასვლელი კიდული ხიდის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 6418 ლარი;

წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია:

1. სოფელ პატარა ღებში არსებული წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია, ღირებულებით -13080 ლარი;
2. სოფელ გლოლაში წყალმომარაგების ქსელის რებილიტაცია, ღირებულებით -28773 ლარი;
3. სოფელ შუა შქმერში წყალასადენის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის მოწყობა, ღირებულებით 24380 ლარი;
4. სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ღირებულებით -168325 ლარი;

სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია:

1. ქ. ონში სტადიონიდან სასამართლოს გავლით მდ. რიონის სანაპირომდე და წერეთლის ქუჩის II ჩიხში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ღირებულებით 27 107 ლარი;
2. სოფელ წედისში და წმენდაურში სანიაღვრე სისტემების მოწყობა, ღირებულებით -13 114 ლარი;
3. სოფელ ლაჩთაში სანიაღვრე სისტემის (კედლის) მოწყობა, ღირებულებით -1938 ლარი;
4. ქ. ონში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია 25036 ლარი;
5. ვაჟა-ფშაველას ჩიხში და მინდელის ქუჩაზე წყალარინების ქსელის მოწყობა, ღირებულებით - 5415 ლარი;

საკანალიზაციო სისტემის მოწყობა:

1. დაიწყო სოფელ ღარში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდა 2018 წელს, ღირებულებით - 372 000 ლარი;

ნაპირსამაგრების მოწყობა:

1. ქ. ონში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე (ყოფილ პირველ სკოლასთან) ნაპირსამაგრის მოწყობა, ღირებულებით - 67 251 ლარი;
2. დაიწყო სოფელ ღებში მდ. რიონის რიონისა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები. დასრულდა 2018 წელს, ღირებულებით -287672 ლარი;

შენობა-ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია:

1. ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ღირებულებით - 795 000 ლარი;
2. სოფელ გლოლაში ადმინისტრაციული სახლის და სოფელ ნაკიეთში ბიბლიოთეკის შენობებზე სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით- 16990 ლარი;

3. სოფელ ღებში ადმინისტრაციული შენობის დასრულების სამუშაოები, ღირებულებით- 62380 ლარი;

4. სოფელ გლოლაში ბაგა-ბაღის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 49887 ლარი;
5. სოფელ ცხმორში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 18410 ლარი;
6. სოფელ ნიგავზებში სარიტუალო დარბაზის დასრულების სამუშაოები,ღირებულებით - 3910 ლარი;
7. დაიწყო ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის სკვერში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, დასრულება იგეგმება 2018 წელს. პროექტის ღირებულებაა 677 988 ლარი;

2017 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დანხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები:

1. სოფელ ჭიბრევში მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით-145 311 ლარი;
2. სოფელ ლაგვანთაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა, ღირებულებით - 80295 ლარი;
3. სოფელ ღარში და ნიგვზნარაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა, ღირებულებით - 255 000 ლარი;
4. სოფელ ნაკიეთში მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ შარდომეთში მარცხენა სანაპიროზე და სოფელ უწერაში მინ. წყალ ნაპერწკალასთან გაბიონის მოწყობა, ღირებულებით - 190 000 ლარი;
5. დაიწყო ქ. ონში და სოფელ სორში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები. დასრულდა 2018 წელს, ღირებულებით - 77 600 ლარი;

2017 წელს განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი:

1. ქ. ონში სლავა მეტრევლის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 13170 ლარი;
2. ქ. ონში გარე გამოყენების სპორტული ტრენაჟორების მოწყობა, ღირებულებით -20 321 ლარი;
3. სოფელ წედისში გარე განათების მოწყობა, ღირებულებით - 9446 ლარი;

სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 51 942 ლარი, რომელიც მოხმარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი და შიდა გზების წმენდას თოვლის, ნამქერისა და მეწყრისგან.

2017 წელს დასრულდა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ განხორციელებული ქ. ონის, სოფელ ჭალისა და სოფელ სორის გაზიფიცირების სამუშაოები.

აქტიურად მიმდინარეობდა „ქუთაისი-ალპანა-მამისონი“-ს გზის უწერა-შოვის მონაკვეთის და საგლოლო-ღების მიმართულებით გზების რეაბილიტაცია, ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობით, რომელსაც ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ზედამხედველობა გაეწია ადგ. ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებულ დაახ. 788 400 ლარის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, მომზადდა ხარჯთაღრიცხვები.

2017 წელს აღნიშნულიქ სამსახურის მიერ გაიცა 15 სამშენებლო ნებართვა, 14 თანხმობა და ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 11 სამშენებლო ობიექტი.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით 2017 წელს არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მისამართით შემოსულია 495 კორესპოდენცია. განხორციელდა დასმული საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ტურიზმის და ქონების მართვის სამსახურმა, მისი დებულებიდან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, სტატისტიკისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით. 2017 წელს სამსახურის მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

ეკონომიკური განვითარება - მოცემული მიმართულებით სამსახური ძირითადად შემოიფარგლებოდა მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და შემდგომ მოცემული სტრატეგიის განსახორციელებლად დაგეგმილი პროექტების ორგანიზებით საწყის ეტაპზე, იგულისხმება აქ ტენდერების ორგანიზება ადგილობრივი თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების განკარგვის მიზნით. საანგარიშო პერიოდში საერთო ჯამში გამოცხადებულია 108 ტენდერი, აქედან 83 შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება, 13 არ შედგა,7 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 5 შეწყდა, სულ შესყიდვების ღირებულებამ, რომელზედაც გამოცხადდა ტენდერი შეადგინა 5637714 ლარი. ეკონომიამ ტენდერებიდან შეადგინა 640 408 ლარი.

სამსახური აქტიურად თანამრომლობდა და ახორციელებდა მხარდაჭერას პროექტებისა, რომლებიც ინიცირებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების მიზნით, ახორცილებდა ინფორმაციის დამუშავებას და მიწოდებას, ტერიტორიების გამოყოფას და სხვა საკითხების მოგვარებას, რაც მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში იყო. ეს იყო პროექტები, რომელიც ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის გაზიფიცირების, ადგილობრივი თუ სახელმწიფო მნიშვნელობის გზების ასფალტირების, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

განხორციელდა აგრეთვე, ონის მუნიციპალიტეტში შემოსული ინვესტიციების (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო) მონიტორინგი. 2017 წელს ონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული ინვესტიციების პორტფელის მოცულობამ საერთო ჯამში შეადგინა 25 047 823 ლარი, აქედან, რეგიონული პროექტების ფონდის დაფინანსებაზე მოდიოდა 6 624 772 ლარი (26,4% მთლიანი პორტფელისა). 1 095 067 ლარი ცალკეული განკარგულებების სახით აღირიცხა. საგზაო დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების მოცულობამ შეადგინა 16 003 330 ლარი (63,9-%). ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გაწეული სამუშაოებმა 1 283 475 ლარი შეადგენა (5,1-%). უცხოური და კერძო ინვესტიციები 3797952 ლარით განისაზღვრა (15,1%), აქედან, 1700983 ლარი შ.პ.ს "ბლაუნშტეინ საქართველოს" მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული საამშენებლო ინვესტიციაა .

ქონების მართვა -

1. 2017 წელში საკრებულოს სხდომაზე ინიცირებული იქნა დადგენილების პროექტები არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასისა და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის, ქონების გადასახადის განსაზღვრის, ასევე, თანხმობის მისაღებად უძრავი/მოძრავი ქონების უზურფრუქტის/თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ სხვა და სხვა ორგანიზაციებისათვის. აღნიშნულის საფუძველზე გამოიცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკაგულებები და განხორციელდა შესაბამისი პროცედურები, კერძოდ: მომზადდა

ბრძანების პროექტი (გამგებლის), ორმხრივი ხელშეკრულება უძრავი /მოძრავი ქონების უზურფრუქტით/თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ და გატარდა საჯარო რეესტრში.

2. 2017 წელში საკრებულოს სხდომაზე ინიცირებული იქნა პროექტი თანხმობის მისაღებად ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული უძრავი/მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

3.საკრებულოს სხდომაზე ჩვენს მიერ ინიცირებული იქნა საკითხიები: „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და მის საფუძველზე „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“. შემდეგ გამოიცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკაგულებები და განკარგულებების საფუძველზე მომზადდა გამგებლის ბრძანების პროექტები და გატანილი იქნა პრივატიზებისათვის ელ.აუქციონზე (eauction.ge) 4 ობიექტი.

4. შემოსულიიყო სხვადასხვა სახის და შინაარსის წერილები, რომლებიც დამუშავდა, მოპოვებული იქნა ინფორმაცია და საქმეს მიეცა შესაბამისი მიმართულება. შედეგად 2017 წლის პირველი იავრიდან მუნიციპალიტეტს გადმოეცა შემდეგი სახის ქონება: 11 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ქ. ონი, ჩაჩაშვილის ქუჩა N99 (1442 კვ.მ.) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით (ყოფილი ვეტპუნქტი), სოფელ გლოლაში არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების 2913 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ერთი მარალი გამავლობის ავტო ტრანსპორტი.

turizmi - ტურიზმის მიმართულებით სამსახური შემოიფარგლებოდა პროექტების მხარდაჭერით, რომელიც ორიენტირებული იყო ტურიზმის განვითარებისაკენ. მხარგაჭერა გულისხმობს მოსახლეობის ინფორმირებას მიმდინარე თუ დაგეგმილი პროექტების შესახებ. მათი შეკრება სხვადასხვა პროგრამების საპრეზენტაციო შეხვედრებისათვის და სხვა.

სამომავლო გეგმა

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება სამსახური ძირითადად თავის საქმიანობას განახორციელებს დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ვგეგმავთ განვახორციელოთ ხაზოვანი ნაგებობების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის სახელზე, ასევე იგეგმება ამორტიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პრივატიზება და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო მიწის ნაკვეთების პრივატიზება შემდგომში კერძო ინვესტიციების მოზიდვის და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

მუნიციპალიტეტში, უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის განვითარებას, რასაც ადასტურებს ის, რომ შესაბამისად გაიზარდა ამ მიმართულებით მუნიციპალური დაფინანსება და 2017 წლისათვის ამ თანხამ 641 524 ლარი შეადგინა, აქედან, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება 265 000 ლარი იყო. კულტურის დარგის დაფინანსებამ 194 000 ლარი შეადგინა. სპორტის მიმართულებით 101 870 ლარი გამოიყო. მოსახლეობის სოციალურ მომსახურებას **79723** (სამოცდაცხრამეტი ათას შვიდასოცდასამი) ლარი მოხმარდა. შემოსულობებმა 32 890 ლარი შეადგინა. ა(ა)იპ ორგანიზაციებში დასაქმებულთია 187 ადამიანი. დასაქმებულთა შრომის ასანაზღაურებლად

გაწეული იქნა 503 206 ლარის ხარჯი. ა(ა)იპ ორგანიზაციების განვითარებას მოხმარდა 75 076 ლარი.

მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და ამოქმედდა „კულტურის სტრატრგია -2018''.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის გამო, მუნიციპალიტეტში სოფლად, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ძალზე მცირე კონტიგენტია, ყველაფერი კეთდება მათი სკოლამდელ განათლებაში ჩართულობის მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით, სოფელ გლოლაში აშენდა და უკვე გაიხსნა ერთჯგუფიანი ტიპიური საბავშვო ბაღის შენობა, . მუდმივი ყურადღების ცენტრშია საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“. ამ კანონის 28 მუხლის მე -4 პუნქტის შესაბამისად,სამსახურმა მოამზადა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება 1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების სისტემის შემუშავებას, 2. სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემას,3. დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, 4. დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების და 5. საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენას. ნორმატიული აქტები გამოქვეყნდა მაცნეში და გამოქვეყნებიდან უკვე სახელმძღვანელო დოკუმენტებად იქცა. სულ მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებას იღებს 160 ბავშვი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემსახურება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები, რომლებიც საანგარიშო წლის დასაწყისისათვის ადგენენ წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების პროექტებს, რომლის დასაფინანსებლად სულ მუნიციპალიტეტში დაიხარჯა 63 242 ლარი.

ტრადიციად იქცა „ონელობის“ დღესასწაული, სადაც ყველა ა(ა) იპ ორგანიზაციას ეძლევა საშუალება მოახდინოს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა და ერთგვარი ანგარიში წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ჩამოსულ სტუმრებს.

აღინიშნა ზურაბ ქაფიანიძის დაბადებიდან 80 წლისთავი, სადაც მოწვეული იყვნენ ხელოვნების დარგის მუშაკები ქვეყნის მასშტაბით, ასევე მურმან ლებანიძის დაბადებიდან 95 წლისთავი. სიახლეები გამოიკვეთა ახალი წლის აღნიშვნისას.

მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღში 2017 სასწავლო წელს ფუნქციონირებდა ხუთი სააღმზრდელო ჯგუფი, 2-3 წლ. ჯგუფი,ანუ ბაგა-33 ბავშვით, 3-4წლ. ჯგუფი-27 ბავშვით, 4-5წლ. ჯგუფი-29 ბავშვით, 3-5წლ. შერეული ჯგუფი-23 ბავშვით, 5-6 წლ. სასკოლო მზაობის ჯგუფი-42 ბავშვით. სოფ. ღარის სკოლისათვის მზაობის ცენტრი-3 ბავშვით, სოფ. ჭიორის სკოლისათვის მზაობის ჯგუფი -3 ბავშვით, ჯამში ბაგა-ბაღში ბავშვების რაოდენობა შეადგენდა 160-ს , სასკოლო მზაობის პროგრამა გაიარა 34 ბავშვმა. ბაგა-ბაღში ჩარიცხული ყველა ბავშვი ფიზიკური და გონებრივი განვითრებით შეესაბამება ასაკს. 2017 წელს ბაგა-ბაღში დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა 37-ს. 2017 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირება შეუჩერდა სოფ. უწერის სკოლისათვის მოსამზადებელ ცენტრს ბავშვთა კონტიგენტის არარსებობის გამო. 2017 წელს ბაგა-ბაღის სუბსიდია შადგენდა 160000 ლარს, აღნიშნული სუბსიდია გახარჯული იქნა მიზნობრივად, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

2017 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა ბაგა-ბაღის დირექტორმა, მუსიკის მასწავლებელმა და სპეციალისტმა, თემაზე: „თანამედროვე მიდგომები მუსიკალურ აღზრდაში“, ფსიქოლოგმა ქალთა ძალადობის შესახებ და მზარეულმა სურსათის უვნებლობის შესახებ.

ბაგა-ბაღში მონიტორინგს აწარმოებდა გუბერნიის სურსათის უვნებლობის სააგენტო და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური. მონიტორინგის შედეგები ყოველთვის დადებითად შეფასდა.

2017 წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ,,მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური ხელშეწყობის გზით“ საგრანტო პროგრამაში. პროექტმა გაიმარჯვა საგრანტო პროექტში და ბაგა-ბაღს გადაეცა 9738 ლარის ღირებულების საბავშვო ავეჯი. (საგრანტო ხელშეკრულებით 19.10. 2017წ.)

ნაყოფიერად იმუშავა ონის ა(ა)იპ სამხატვრო სკოლამ. 2017 – 2018 სასწავლო წელს სკოლაში დაიწყო ფოტოხელოვნების სწავლება ბავშვებთან. ეს მიმართულება თითქმის მივიწყებას მიეცა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპულ ქვეყნებშიც, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგი დასაწყისია, პირველი გამოფენა უკვე მოეწყო და მას კარგი შეფასება მიეცა სპეციალისტების მიერ.სკოლაში ეუფლებიან თექის დამუშავებას, ხეზე კვეთას, გრაფიკას, ფერწერას. მოსწავლეთა დაოსტატებას ხელს უწყობს სკოლაში პროფესიული მხატვრების მიერ მოწყობილი მასტერკლასები. მაგალითად, მოწვეული იყვნენ გოგა ჯაფარიძე,აკაკი ინანიშვილი,, ასევე „არტრას“ ფარგლებში მხატვარი ელენე რაქვიაშვილი, მაკა ბატიაშვილი, გერმანელი მხატვარი იენს რაუში, მწერალი კონსტანცა ჯონი, აზერბაიჯანელი ჩინგიზ ბაბაევი და ელნურ ბაბაევი, კინომცოდნე ქეთი ტრაპაიძე. კოტე ჯინჭარაძემ მოსწავლეებს ჩაუტარა ლექცია ეკოლოგიურ თემაზე “დაკარგული ტერიტორიები“. ეს და წლის მანძილზე განხორცელებული სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ღონისიება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლის ასაკის ბავშვთა შორის, რის გამოც მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლის კონტიგენტი.

ქალაქ ალანიის მერიის მიწვევით, 23 ივნისიდან - 3 ივლისის ჩათვლით, სამხატვრო სკოლის წარმატებული მოსწავლეები იმყოფებოდნენ თურქეთის საკურორტო ქალაქ ალანიაში, ფესტივალზე, სადაც 3 დღის მანძილზე მიმდინარეობდა გამოფენა. გამოფენაზე წარდგენილი ქონდათ არა მარტო საქართველოდან წაღებული ნამუშევრები, ასევე ადგილზე შესრულებული ქალაქ ალანიის პეიზაჟები. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ქალაქ ალანიის ციხე-კოშკები, არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმები: ფესტივალზე მონაწილეობას იღებდნენ ასევე ქ. თბილისის ნიჭიერთა სკოლა-აკადემია, 23-ე სკოლის სტუდიის მოსწავლეები.

ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმში ფესტივალზე. სკოლამ ქალაქ ბათუმის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოაწყო გამოფენა. გამოფენას ესწრებოდნენ ხელოვნებათმცოდნეები: რატი ჩიბურდანიძე, უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნარგიზა ფუტკარაძე, მხატვარი ქეთი ფილიპოვა, მერაბ კვაჭაძე, მაია ჭყონია, ასევე სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

სკოლამ მოაწყო პლენერზე ხატვა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნის მასშტაბით. უკვე ტრადიციად იქცა გალერეა „ვანდაში“ გამოფენა - კონკურსში მონაწილეობა, სადაც უკვე მერამდენედ, ბავშვებმა მიიღეს კონკურსის მთავარი პრიზი „ოქროს პალიტრა“. 23 მოსწავლემ ,საკათედრო ტაძარში ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური ცენტრის მიწვევით წარადგინა ნამუშევრები თექაში, ბატიკაში, გრაფიკაში, ფერწერაში. სკოლა წარმატებით თანამშრომლობს რეგიონის სამხატვრო სკოლებთან.

მოსახლეობას წიგნით მომსახურებას უწევდა ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სოფლის ბიბლიოთეკა. მკითხველთა რაოდენობამ შეადგენდა 800 ადამიანი, რომლებზეც

საანგარიშო პერიოდში სულ გაცემულია 4200 ცალი წიგნი.მუნიციპალიტეტის წიგნადი ფონდი დღეისათვის მთლიანად 61 273 ეგზემპლიარია.

გეგმის შესაბამისად აღინიშნა 2017 წლის მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღები, ჩატარდა წიგნის კვირეულები, მოეწყო შეხვედრები კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, ახალი ლიტერატურის გამოფენები, წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები მკითხველებთან, შემეცნებით-გასართობი ღონიძიებები ბავშვებისთვის. ბიბლიოთეკებში გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ასე, მაგალითად აღინიშნა მურმან ლებანიძის 95 წლის იუბილე, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი, ნიკო კეცხოველის ხსოვნის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საღამო. ა(ა)ი.პ „ ონის მუნიციპალიტეტის კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის ცენტრთან“ ერთად მოეწყო ლიტერატურული კონკურსი.მოეწყო დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა რუბრიკით ,,ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“, ლადო ასათიანის 100 წლისთავი, კონსტანტინე გამსახურდია 126 წელი, ვასილ ბარნოვი- 160 წელი, კონსტანტინე მარჯანიშვილი 145 წელი, პაოლო იაშვილი 125 , ალექსანდრე დიუმა -125 წელი, აკაკი წერეთელი 177 წელი, მურმან ლებანიძე-95 წელი, ილია ჭავჭავაძე 180 წელი და სხვა.ბიბლიოთეკაში გაიმართა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები : მკითხველები გაეცვნენ უნიკალურ ალბომს ,,გურამ შარაძის „ აკაკი წერთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და ამავდროულად მოხდა ვასილ ამაშუკელის ფილმის ჩვენება.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო, როგორც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ასევე სასოფლო ფილიალებში სხვადასხვა თემატური გამოფენების მოწყობას.

მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას და თავისუფალი დროს ორგანიზებულად გატარებას ხელს უწყობდა ა(ა) იპ კულტურის ცენტრი. კულტურის ცენტრში ფუნქციონირებდა ქორეოგრაფიული, ხალხური საკრავების შემსწავლელი, სტვირის შემსწავლელი და საესტრადო წრეები. მნიშვნელოვანი წარმატებები ქონდა ქორეოგრაფიულ წრეს, რომელიც სისტემატიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ფესტივალებში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. სულ კულტურის ცენტრთან არსებულ წრეებში 155 ბავშვი იყო გაერთიანებული.

კულტურის ცენტრი სტაბილურად ცდილობდა გასვლითი ტურების (ფესტივალებში მონაწილეობით) საშუალებით ახალგაზრდა თაობის ცნობიერების, გემოვნების, სახელოვნებო გამოცდილების ჩამოყალიბებას, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობით პატრიოტული და პიროვნული თვისებების სწორად განვითარების ხელშეწყობას და ასევე ჩვენი კუთხის, მუნიციპალიტეტის წარსულის და თანამედროვე შემოქმედებითი ცხოვრების პოპულარიზაციას. ამ მიზნით შედგა ქორეოგრაფიული წრის აღსაზრდელებისაგან შემდგარი ამსამბლის "ორბას" გასტროლები ქალაქ ქუთაისში "დავითობისადმი" მიძღვნილ კონცერტზე (თებერვალი), ქალაქ თბილისში ფესტივალზე "შავი ზღვის ვარსკვლავი" (აპრილი), ასევე საერთაშორისო ფესტივალებზე "ზღვის ოცნება" და „ფიესტალონია ჯორჯია“, რომლებზეც პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ანსამბლმა "რაჭამ" მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეული შვილის - ლოტბარის დავით კერესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში, რისთვისაც ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ანსამბლს ყურადღებისა და დაფასებისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს, ანსამბლმა „რაჭამ“ ასევე მონაწილეობა მიიღო ფესტივალ „არტ გენში“ და ამბროლაურში გამართულ ფესტივალში „ფუძეობა“. ანსამბლის თანამონაწილეობით შედგა ფოლკლორული კონცერტი ქალაქ ონში, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანსამბლი „ერა“ ლატვიიდან, ანსამბლი „დიდგორი“ თბილისიდან და ონის ლოტბართა სკოლის აღსაზრდელები.

კულტურის ცენტრის მიერ განხორციელებული იქნა რამდენიმე არაგეგმიური აქტივობა: ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით ორგანიზება გაეწია საზეიმო მსვლელობას ქალაქ ონის ცენტრალურ მოედნებზე და ქუჩებში, ასევე 1917 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ბულვარის ღია სცენაზე. კულტურის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო პირველ ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სარაიონო ღონისძიებაში, ასევე სახალხო არტისტის ზურაბ ქაფიანიძის საიუბილეო საღამო-კონცერტში. მთელი შემოქმედებითი ძალების მობილიზებით აღინიშნა კულტურის სახლის აშენებიდან 70 წლისთავი.
კულტურის ცენტრმა მასპინძლობა გაუწია საერთაშორისო ფესტივალს „ფერხული“, ანსამბლ „ივერიის“ შემოქმედებით ჯგუფს „ორი ჯუჯა და მეგობრები“, ბატონ ბესიკ კალანდაძის საიუბილეო საღამოს - „ბესიკ კალანდაძე და მეგობრები“. ასევე საცირკო ჯგუფს ქ. თბილისიდან. მონაწილეობა მიიღო „ონელობის“ სახალხო დღესასწაულში, ჩატარდა სარაიონო წინასაახალწლო კონცერტი. ცენტრი რეგულარულად მასპინძლობდა სამთავრობო და არასამთავრობო ღონისძიებებსა და შეხვედრებს.
სახალხო თეატრის მოყვარულთა დასმა წარადგინა პრემიერა და განმეორებით აჩვენა თამარ ფხაკაძის პიესის მიხედვით „მატარებელი არ მოვა“ .
მთელი წლის განმავლობაში ცენტრში რეგულარულად მიმდინარეობდა საწრეო მუშაობა (ქორეოგრაფიულ, საესტრადო, ხალხური სიმღერის და ხალხური ინსტრუმენტების შემსწავლელ წრეებში).

მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით უკვე მეორე წელია კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი სალოტბარო სკოლა და წარმატებითაც. ფოლკლორის ნიმუშებს სწავლობს 20 ბავშვი.

აქტიურად მონაწილეობდა, როგორც რაიონულ, ასევე რესპუბლიკურ ღონისძიებებში სოფელ გლოლის ანსამბლი „ბუბა“. მნიშვნელოვანია, რომ ანსამბლი მეორე წელია მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია,რაც მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს არამატერიალური კულტურული ძეგლების გადარჩენის მიმართულებით.

სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. გამორჩეული იყო „ღამე მუზეუმში“. მუზეუმში მიმდინარეობდა მე-19, მე- 20 საუკუნეების იარაღ -საჭურველის პასპორტიზაციის პროცესი. კვლევებში დიდ დახმარება გაუწიეს სტუდენტებს, საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. მაგალითად, ივლისის თვეში სტუმრად იმყოფებოდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რომლის ინტერესს წარმოადგენდა ონში არსებული ებრაელთა სინაგოგა და ებრაული თემი. სტუმრები გაეცნენ მუზეუმში დაცულ კოლექციებს, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, მუზეუმში ასევე, სტუმრად იმყოფებოდა მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსი გია დვალი.

ონის მუნიციპალიტეტის სივრცით - ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების ფარგლებში კომპანია“არტ სტუდიო პროექტის“ სამუშაო ჯგუფმა ონის მხარეთმცოდნეობის ხელოვნებათმცოდნე აკაკი რეხვიაშვილთან ერთად, მოახდინა ონის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესწავლა (ქ. ონი და 30 სოფლის ტერიტორია), მოხდა ობიექტების დეტალური ფოტოფიქსაცია, აზომვა, გლობალური პოზიციების კორდინატების დაფიქსირება და მასალების მუზეუმისათვის გადაცემა.

მეტად ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა 13 ნოემბერს მოწყობილი ექსპედიცია სოფლებში- ფარახეთსა და ჭიბრევში, დაფიქსირდა არაერთი ჭვირულაივნიანი ოდა სახლები, წყაროები , მრავალსაუკუნოვანი ურთხველისა და ცაცხვების ხეები, ეკლესიების ნანგრევები, ძველი საფლავები. ფრიად საყურადღებო აღმოჩნდა ჭიბრევის ციხის მიდამოებში კლდის ფერდობზე დაფიქსირებული კლდეში ნაკვეთი „საწოლები“ ანტიკური ხანის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი საძირკვლის ბუდეები, რომელშიც ფიქსირდებოდა

ქვედა სტრუქტურის ქვათლილები. კლდეზე თვალნათლივ ჩანს წრიული ორმოები ასეთი ორმოები ფიქსირდება საქართველოს ყველა ანტიკური ხანის ნაქალაქარზე, რომლებიც კლდეებზე არიან დაფუძნებული. ორმოებში მაგრდებოდა ვერტიკალური ბოძები, რომლებიც წარმოადგენდნენ საყრდენს ბაგირთათვის და რისი საშუალებითაც ხდებოდა სამშენებლო ქვების გადაადგილება კლდოვან რელიეფზე. მუზეუმში ჩამოტანილია ჭვირული აივნის ფრაგმენტები, აღსანიშნავია, რომ ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღო მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელმა მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლემ და ჩვენმა ვოლონტერმა ზურაბ ლობჯანიძემ.

მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური კოლექციის იდენტიფიკაციის მიზნით, ინტენსიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა ეროვნული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელ ნუმიზმატ მაია პატარიძესთან. მოხდა რამოდენიმე მონეტის შესწავლა (კავად I-ის სასანური მონეტა, თეიმურაზ II - ის მონეტა). მან ასევე მოაწოდა ეროვნულ მუზეუმში რაჭიდან შესული ნუმიზმატურ კოლექციებთან დაკავშირებული, როგორც გამოქვეყნებულ ლიტერატურაში დამოწმებული ინფორმაცია, ასევე დავთრებში ასახული აღწერილობები.

გრძელდება თანამშრომლობა ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორ ბატონ მერაბ კეზევაძებთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მუზეუმის თანამშრომელთა თხოვნით მან საარქივო ფონდებში მიაკვლია სოფ. ლაგვანთაში დაბადებული თერგდალეულთა პლეადის წარმომადგენლის ბესარიონ ჯაფარიძის პირად საქმეს, საიდანაც ვიგებთ, რომ ცნობილ ჟურნალისტს ოთხი წელი ქუთაისის გიმნაზიაში უსწავლია, ხელთ აქვთ მისი ატესტატი. მერაბ კეზევაძის დახმარებით მოეწოდა „რაჭის ოკრუგის“ფონდში დაცული რამოდენიმე საქმე. ბატონ მერაბს გაეწია კონსულტაციები რაჭაში მოსახლე გვარსახელების შესახებ.

ონის ა(ა)იპ მოსწავლეთა სახლის შემეცნებით და ესთეტიკური ციკლის წრეებში 128 მოსწავლე იყო გაერთიანებული. სულ მუშაობდა 10 წრე. მოსწავლეთა სახლის ესთეტიკური წრეები სისტემატიურად მონაწილეობდნენ რაიონულ ღონისძიებებში. წრეებში ბავშვთა ჩართულობა ერთერთი ხელშემწყობი ფაქტორია მათი თავისუფალი დროს ორგანიზებულად გატარების მიმართულებით. სისტემატიურად აღინიშნებოდა საერო დღესასწაულები, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ასაკის ბავშვები.

კომპლექსურ საჭიდაო სკოლაში ფუნქციონირებდა თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის და ქართული ჭიდაობის უმცროსი და უფროსი ასაკობრივი ჯგუფები, სადაც 6 კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელი მუშაობდა, აქედან ერთი მწვრთნელი სოფელ ღებში ასწავლის ბავშვებს თავისუფალ ჭიდაობას.

ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური საჭიდაო სკოლის მოჭიდავეები აქტიურად იყვნენ ჩართული რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში. 2017 წელს რამდენიმე ასაკობრივ ნაკრებში მიიღეს მონაწილეობა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, კერძოდ .ქ თბილისში ჩატარდა ამირან მაისურაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2004-2005 წწ დაბადებული ბავშვთა შორის . სადაც მონაწილეობა მიიღო სამმა სპორტსმენმა და მოიპოვეს გამარჯვება, მათ შორის: პირველი ადგილი დაიკავა ნიკა ბუხრაშვილმა - 26კგ და თორნიკე სამხარაძემ 62 კგ წონით კატეგორიაში,ხოლო მესამე ადგილი ლევან რაზმაძემ. აქტიური მონაწილეობა მიიღეს იოსებ ბერიშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში 2001-2003 წწ დაბადებულთა შორის. გამარჯვებულებმა ადგილები გადაინაწილეს შემდეგნაირად:I-ლი ადგილი წილად ხვდა გიორგი მეტრეველს -76კგ, ლაშა მეტრეველს-85კგ,გუგა სხირტლაძეს- 54კგ, გიორგი ბენდიანიშვილს-58კგ, III-ადგილი არჩილ გავაშელიშვილს -42კგ, გიორგი კერესელიძეს- 46კგ.

ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური საჭიდაო სკოლის აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც რესპუბლიკურ ასევე ევროპის საერთაშორისო

ტურნირებზე, სადაც წარმატებით იასპარეზეს .აღსანიშნავია, რომ ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური საჭიდაო სკოლის 12 აღსაზრდელი არის საქართველოს ნაკრების წევრი.

სისტემატიურად ტარდებოდა რაიონის პირველობა მინი-ფეხბურთში, რომელშიც ჩართული იყო ყველა სოფლის და ქალაქის თითქმის ყველა უბნის დიდი და უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა გუნდები.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სპორტის მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა, ჭიდაობა და ფეხბურთი.

ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური ფულადი დახმარება გაიცა შემდეგ კატეგორიაზე:

1. სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებზე, სტაციონარულ მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 108 - მოქალაქეზე ; ჯამში - 38 517 (ოცდათვრამეტი ათას ხუთას ჩვიდმეტი) ლარი.
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 16 მოქალაქეზე, თითოეულზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი; ჯამში - 4000 (ოთხი ათასი) ლარი.
3. მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა; 99 ოჯახზე -ჯამში - 19 300 (ცხრამეტი ათას სამასი) ლარი.

4. მარჩენალ დაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა - 38 ობოლ ბავშვზე, თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარი ; ჯამში- 3800 (სამიათას რვაასი) ლარი.
5. გარდაცვლილი ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯებისთვის ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა - ომის ვეტერანის 1 ოჯახზე; ჯამში - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.
6. ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ხანდაზმულ მოქალაქეებზე (100 წლის და მეტი ასაკის) ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა - 2 ხანდაზმულ მოქალაქეზე, თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი; ჯამში - 1000 ლარი.
7. ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზარალისათვის დახმარებას ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა 3 ოჯახზე; სულ - 6500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარი.
8. უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველსაყოფად ბინის ქირის საფასური გაიცა 3 ოჯახზე თითოეულ ოჯახზე თვეში 50 (ორმოცდაათი) ლარი; ჯამში - 1450 (ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი.
9. საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით; 1 ვეტერან ქალზე გაიცა 100 (ასი) ლარი.
10. ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით - 3 ვეტერანზე გაიცა ფულადი შემწეობა 200 (ორასი) ლარი; - ჯამში 600 (ექვსასი) ლარი.
11. საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახებზე, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით 9 ვეტერანის ოჯახზე (თითოეულ ოჯახზე) გაიცა ერთჯერადი ფულადი შემწეობა 100 (ასი) ლარი; - ჯამში 900 (ცხრაასი) ლარი.

12. საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა 9 ოჯახზე (თითოეულ ოჯახს) გაიცა საშობაო საჩუქარი 100 (ასი) ლარი; - ჯამში 900 (ცხრაასი) ლარი.
13. ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებზე, დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, წყლის გადასახადზე დახმარება გაიცა 61 ოჯახზე (193 ბენეფიციარი). ჯამში - 1056 (ათას ორმოცდა თექვსმეტი) ლარი.

სულ ონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური ღონისძიების დაფინანსების ბიუჯეტიდან ონში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ 218 ოჯახს და 618 ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება; ჯამში **79723** (სამოცდაცხრამეტი ათას შვიდასოცდასამი) ლარი.

ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მეშვეობით ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. Pპრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის საფუძველი ადგილებზე დაავადებათა ძირითადი რისკ–ფაქტორების (თამბაქოს მოხმარება, არტერიული ჰიპერტენზია, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, არასრულფასოვანი კვება, ჭარბწონიანობა და სიმსუქნე, არაჯანსაღი ყოფითი შრომითი და სასწავლო გარემო და სხვა) სტრუქტურისა და გავრცელების ადექვატური შეფასებადა ამ მხრივ ჩარევების პრიორიტეტების ფორმირებაა.

გასული წლის 20 ივლისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურების ფუნქციონირების შესახებ“ გაიდლაინი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეცვალა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წესდება, სადაც სრულყოფილად აისახა ახალი ვალდებულებებიც.

მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტების მიერ მოსახლეობის უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამა და განხორციელდა აგრეთვე, უფასო გამოკვლევები და გასინჯვები. Nნოემბრის თვეში შერჩეულ იქნა კარდიოლოგიური ბრიგადა, ჩატარდა ექოსკოპიური და კარდიოგრაფიული კვლევები. მოსახლეობა გაისინჯა ზოგადი ექიმ–ექოსკოპისტის, ანგიოლოგის, ენდოკრინოლოგის და ბავშვთა ნევროპათოლოგის მიერ. ჯამში დაახლოებით 800 გასინჯვა და გამოკვლევა. ჩატარდა რამდენიმე ეტაპი “C“ ჰეპატიტის სკრინინგისა. დაახლოებით 380 ადამიანის სკრინინიგი განახორციელა ამბროლაურის რეგიონულმა ლაბორატორიამ უშუალოდ ქ. ონში, საზ. ჯანდაცვის ცენტრში, ასევე, სოფლის ექიმებმა და თვითონ ჯანდაცვის ცენტრმა–ჯამში–564 ადამიანის სკრინინგი.

2017 წელს შემოწმდა ერთი სალონი და მიეცა გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსასწორებლად. აქედან გამომდინარე, საზ. ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა სალონებთან და უწევდა მეთოდურ დახმარებას.

განსაკუთრებული ყურაღება დაეთმო პროფილაქტიკური აცრების მიმდინარეობას. ყოველთვიურად ხდებოდა სახელობით ბავშვთა გადამოწმება უბნების მიხედვით და შესაბამისად დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა.

წელიწადში ორჯერ ხდებოდა სამედიცინო დაწესებულებებისა და სასწავლო–საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოწმება ეპიდრეჟიმზე და იმუნიზაციის მიმდინარეობაზე.

ანტიჰელმინთოზური პროგრამის ფარგლებში ბაღისა და სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებზე გაიცა პრეპარატი მებენდაზოლი.

მალარიის საწ. პროგრამის ფარგლებში სოფ. სორის ტერიტორიაზე ჩატარდა ანაფილოგენური წყალსატევების მექანიკური გაწმენდა.

იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში დ ასევე ეპიდ. სიტუაციიდან გამომდინარე, რაიონის სკოლებში და ბაღში სისტემატურად ტარდებოდა ლექცია–საუბრები და მედიცინის გაკვეთილები. ასევე პროფილაქტიკური ან დასკვნითი დეზინფექციები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დადორბვლა–დაკაწვრა–დაკბენის შემთხვევებს. არ ყოფილა წყვეტა ანტირაბიული ვაქცინებისა და იმუნოგლობულინით მომარაგებაში. შესწავლილ იქნა ცოფზე საეჭვო 4 კერა. ადგილზე მუდმივად იყო სტრატეგიული შრატების ერთი სამკურნალო დოზა. (კერძოდ, ანტიდიფტერიული, ანტიტეტანური, ანტიბოტულინური და გველის ნაკბენის საწ. შრატები). შესწავლილ იქნა წითურაზე საეჭვო ერთი კერა სოფ. ღებში. აღებულ იქნა სისხლი საანალიზოდ და გაიგზავნა ლუგარის ცენტრში, საიდანაც მივიღეთ პასუხი–დადასტურდა პარლო ვირუსი (ე.წ. მეხუთე ვირუსი).

სისტემატურად მიმდინარეობდა მონაცემების დამუშავება სტატისტიკურად და დროულად მიწოდება ზემდგომი სტრუქტურებისათვის, როგორც გადამდეები, ასევე პარაგადამდები დაავადებების ანალიზი. ვიმუშავეთ EIDSS-ის პროგრამაში. მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და კონფერენციებში.

ვიმუშავეთ ტუბერკულოზის დედათა და ბავშვთა პროგრამის ფარგლებში, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა შემთხვევებს. 2017 წელს დაფიქსირდა ტუბერკულოზის ერთი შემთხვევა. მოხდა კონტაქტების კვლევა და დასკვნითი დეზინფექციის ჩატარება.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად შპს „ონის კომუნალური სამსახური“-ს მიერ 2017 წლის განმავლობაში შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები:

დასუფთავდა: 1. ბარათაშვილის ქუჩა 8708 m2, კახაბერის ქუჩა 12456 m2, დ. აღმაშენებლის ქუჩა 11610 m2, ვახტანგVI-is ქუჩა 18904 m2, ბააზოვის ქუჩა 11219 m2, დ. აღმაშენებლის მოედანი 6015 m2, დემეტრე me-2-is მოედანი 4112 m2, ბულვარი და გამგეობის წინამდებარე ტერიტორია (შემოღობვის შიგნით)3600 m2, მინდელი ქუჩა 2849 m2, ქაფიანიძის ქუჩა 7660 m2, სააკაძის ქუჩა 6499 m2, წერეთლის ქუჩა 5725 m2, მოედნის ქუჩა 4492 m2,რუსთაველის ქუჩა 2514 m2, დემეტრე II ქუჩა 7421 m2, აღმაშენებლის მოედანზე განთავსებული სკვერი 1800 m2, ბერშევის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი 4500 m2, კობერიძის ქუჩა 684 m2, გივი დგვარელის+კაციტძის ქუჩა 3528 m2, ირინა სხირტლაძის ქუჩა 3007 m2 ზურაბ ქაფიანიძის და ყაზბეგის შემაერთებელი ქუჩა 770 m2, ვახტანგ VI-is me-3 შესახვევი 367 m2, ბარათაშვილის ჩიხი 297 m2, არნო ონელის ქუჩა 3088 m2, ი.ჭავჭავაძის ქუჩა 1368 m2, გვანცა დედოფლის ქუჩა 1016 m2, აკაკი მაგრაქველიძის ქუჩა 450 m2, ვაჟა-ფშაველას ქუჩა 1468 m2, ჯიმი მაისურაძის ქუჩა 243 m2, გიორგი მაისურაძის ქუჩა 658 m2, გერმანე გობეჯიშვილის ქუჩა 939 m2, უჩა ჯაფარიძის ქუჩა 3240 m2, გალაქტიონ ტაბიძე+ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა 2295 m2, დავით გურამიშვილის ქუჩა 1485 m2, მიხეილ ჩაჩაშვილის ქუჩა 5173 m2, წმინდა ნინოს ქუჩა 999 m2, ბრილის ქუჩა 1026 m2, არტუანის ქუჩა 1143 m2, ახალშენის ქუჩა 2160 m2, სასაფლაოს ქუჩა 4275 m2, სიმონ სხირტლაძის ქუჩა 1440 m2, წერეთლის ქუჩა 1800 m2, რევაზ ჯაფარიძის აღმართი 3240 m2, ი.სხირტლაძის ქუჩიდან ჭალის მჟავეწყლამდე 315m2, მურმან ლებანიძის სანაპირო 4860 m2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით, ღირებულებით 102480 ლარი.

მოხდა ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული 107 დიდი და 25 პატარა ნარჩენების კონტეინერების რეგულარული გატანა. ღირებულებით 84120 ლარის.

თოვლისგან გაიწმინდა და მარილი მოეყარა დ.აღმაშენებლის და ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის ტერიტორიას 860 ლარის.

დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მომსახურება შეადგენს 2496 ლარი,მომსახურება გაეწია ონის საზოგადოებრივი ტუალეტის დასუფთავებას, 5400 ლარის, ასევე კურორტ შოვში 1200 ლარის. მიმდინარეობდა აღმაშენებლის მოედანზე და ბულვარის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვა- მეთვალყურეობა 2400 ლარის. ადმინისტრაციული შენობის შიდა ფართის დაგვა-დასუფთავება 11550 ლარის.

დეფექტური უწყისის საფუძველზე ხდებოდა გარე განათების დაზიანებული სისტემის შეკეთება - რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ღირებულებით 24999 ლარი.

სოფელ ხიდეშლებში, ლაგვანთაში, სანსეტ შოვის შესასვლელში, გლოლაში, ქრისტესში, ბაჯიხევში, ფარახეთსა და სევაში მოხდა არსებულ და ახალ საყრდენებზე ლამპიონებისა და სადეენების მონტაჟი 18913 ლარის ღირებულების.
შპს „კომუნალური სამსახურის“ მიერ განხორციელდა საახალწლო ღონისძიებისთვის მასალების შემოტანა და მონტაჟი-დემონტაჟი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 9473 ლარს.

2017 წელს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2000 წელს დაბადებული 29 ჭაბუკი. სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2017 წელს გეგმით გათვალისწინებული 7 წვევამდელის ნაცვლად გაწვეულია 8 წვევამდელი. შსს-ს ვადიან საკონტაქტო სამსახურში (დაცვა) ჩარიცხულია 12 წვევამდელი.

გამწვევ სამედიცინო კომისიაზე წლის განმავლობაში გადაყვანილია 29 წვევამდელი. 21 წვევამდელი იყო შეზღუდულად ვარგისი და დროებით უვარგისი.

2017 წლის განმავლობაში რეზერვში ჩაირიცხა 38 რეზერვისტი, დროებითი მოწმობა მიიღო 28 პიროვნებამ.

წლის განმავლობაში სამსახურის მიერ დამუშავებულია 279 კორესპოდენცია. პერიოდულად მიმდინარეობდა აღრიცხვაზე მყოფ წვევამდელთა და რეზერვისტთა გადამოწმება ადგილზე გასვლით. წლის განმავლობაში წვევამდელთა გამოცხადებაზე დახმარების მიზნით შსს-ს ონის რაიონული სამმართველოსთვის გადაცემულია 46 წვევამდელი.

მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აღნიშნულ პერიოდში შემოწმებული იქნა :

1. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“;
2. ა(ა)იპ „ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“;
3. ა(ა)იპკომუნალური სამსახური“;
4. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“;
5. ა(ა)იპ „კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის ცენტრი“;

2017 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა განახორციელა გამგეობის საქმიანობის ორგანიზებული, იურიდიული, დოკუმენტალური, ანალიტიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვა, კადრების საქმის წარმოება. მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორგანიზებული ურთიერთობა.

2017 წელს გამგეობის საქმიანობა წარიმართა საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემით, რომელიც არის საჯარო დაწესებულებაში დოკუმენტების ელექტრონულად წარმოების საშუალება, მისი მიზანია საქმისწარმოების პროცესების მაქსიმალური გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია. სისტემა უზრუნველყოფს საოფისე დოკუმენტაციის ეფექტურელექტრონულ მართვას და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას. სისტემის საშუალებით მარტივად ხორციელდებოდა დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი. აღნიშნულ პერიოდში გამგეობაში/მერიაში, კერძოდ ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში შემოსულია 6875 კორესპოდენცია: სხვადასხვა სამინისტროებიდან, სააგენტოებიდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან-

3596, გამგებლის წარმომადგენლებისგან მოხსენებითი ბარათები- 2457 და მოქალაქეთა განცხადებები - 822 სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. აქედან, გასული წერილების რაოდენობაა - 5145, შიდა წერილების -1617. გამოიცა 2694 სამართლებრივი აქტი. წლის მანძილზე გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ მზადდებოდა საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტები, რომლებიც განსაზღვრული ვადების დაცვით გადაეგზავნებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2017 წელს მოხდა მთავრობის დადგენილების შესაბამისად არსებული თანამდებობების "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ რანგებში გადანაწილება - გამოიყო პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობები და შრომითი ხელშეკრულებების გასაფორმებელი პოზიციები. შესაბამისად შეიცვალა, ახლებურად ჩამოყალიბდა და დამტკიცდა მერიის საშტატო ნუსხა. მოქმედი თანამშრომლები გადაინიშნენ ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამდებობებზე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (გამოიცა გადანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტები).

2017 წლის გამვალობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge) გამოცახდდა 7 ვაკანტურ პოზიციაზე საჯარო კონკურსი, მათ შორის 5 პოზიციაზე ღია კონკურსი და ორზე გამარტივებული კონკურსი. არ ჩაშლილა არცერთი კონკურსი და ყველა პოზიციაზე შერჩეული იქნა კანდიდატი.

მიმდინარეობდა განახლებული ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (eHRMS) გამართვა.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის შეკრებებზე. ასევე, საჯარო მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის ტრეინინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

გარდა ყველა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, ადამიანური რესურსების განყოფილებამ წლის განმავლობაში მოამზადა 391 გამგებლის/მერის საკადრო ბრძანება.

მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის www.oni.gov.ge და facebook გვერდის საშუალებით საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მერიაში და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. ხორციელდებოდა მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია.

მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება მთელი წლის მანძილზე კოორდინაციას უწევდა წარმომადგენლების საქმიანობას, რაც გამოიხატებოდა, როგორც მათთვის საქმიანობის ხელისშეწყობაში, ასევე წარმომადგენლების შეხვედრებისა და თათბირების ორგანიზების უზრუნველყოფაში. ამოწმებდა ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარეობას და უზრუნველყოფდა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებიული დოკუმენტაციის მიღებას და შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. მაგ: საქმისწარმოებაში სულ მთელი წლის მანძილზე გაცემულია 3993 კორესპოდენცია, კერძოდ: გაცემულია 2907 ცნობა -ოჯახის შემადგენლობის, საცხოვრებელი მისამართის შესახებ, სანოტარო ბიუროში წარსადგენად, საკუთრების შესახებ, მისამართის დაზუსტების შესახებ, მეტსახელის შესახებ და სხვა. რაც შეეხება მიწის რეგისტრაციის შესახებ განცხადებებს, სულ მთელი წლის მანძილზე შემოვიდა 1086 განაცხადი, აქედან მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოხდა 454 მიწის ნაკვეთის დათვალიერება, შესაბამისი ოქმების შევსება, სისტემაში ატვირთვა და შესაბამისი ბრძანების გამოცემა. განხილვას არ საჭიროებდა (არასრული/არასწორი/კანონთან შეუსაბამობაში აღმოჩნდა) და უკან გადაეგზავნა საჯარო რეესტრს 294 მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია.

სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ. კანონი მთაში მუდმივად მცხოვრები ადამიანებისათვის სოციალურ შეღავათებსა და ეკონომიკური საქმიანობის წახალისებას ითვალისწინებს. მთავრობამ მთის გასაძლიერებლად სპეციალური ღონისძიებები 2016 წლიდან დაიწყო. ჩვენს მუნიციპალიტეტში მხოლოდ 2017 წელს - მაღალმთიანობის სტატუსით ისარგებლა 522 მოქალაქემ, მათ შორის სტატუსის მინიჭების შესახებ შეივსო 230, ხოლო სტატუსის შესახებ ცნობის გაცემის მსურველთა მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგინა 282 განაცხადი.

რელიეფიდან გამომდინარე რაჭაში არსებული მეწყრული ზონები ადრიან გაზაფხულზე და შემოდგომით მეტად აქტიურდება. გასული წლის განმავლობაში გარემოს დაცვის სამინისტროდან მოვლენილ იქნა გეოლოგთა ჯგუფი 6-ჯერ, რომლებმაც ადგილზე ინახულეს შესაბამისი ტერიტორიები და დაიდო შესაბამისი დასკვნები, რის საფუძველზეც 7 მოქალაქის საცხოვრებელი სახლის შესახებ შეივსო და სამინისტროში გადაიგზავნა შესაბამისი კატეგორიები თანდართული ფოტომასალით და დასკვნების ასლებით.

მუნიციპალიტეტის მერი
ემზარ საბანაძე